გულიდან მომდინარე ხმა

მევლანა

muslimdata.ge

بسم الله الرحمن الرحيم

muslim georgia
muslim georgia foundation
international charity

დიანეთის საქმეთა
სამმართველოს გამომცემლობა

სახალხო წიგნები

თარგმნა
თამაზ მიქელაძემ

გრაფიკა და დიზაინი
ბილალ ილკაი

muslim georgia

საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი
وقف تضامن دولي مسلمو جورجيا
muslim georgia uluslararası yardımlaşma vakfı

www.muslimgeorgia.org
info@muslimgeorgia.org
muslim.georgia.18
muslim.georgia.54
georgiaquran
muslim_georgia
muslimgeorgiaquran
muslimgeorgia

გულიდან მოძღვიანთე ხმა- მეგლოხა

11

muslim georgia
muslim georgia foundation
muslim georgia international charity

muslim georgia
muslim georgia foundation
international charity

სარჩევი

გულითადი მეგობარი მევლანა ჯალალედდინ რუმი	7
ადმიანთა მოყვარე მევლანა ჯალალედდინ რუმი	20
მევლანა განაგრძობს ჩვენს განათლებას	30
მევლანას ღრმადმოწრმუნოება	38
მევლანა შუამავალ მუჰამმედის შესახებ	44
მევლანას მიხედვით სულის აღზრდა	49
მევლანას გულის ხმა და მუსიკა	53

muslim georgia
muslim international charity foundation

muslim georgia
muslim georgia foundation
international charity

გულითადი მეგობარი
მეილანა ჯალალედდინ რუმი

აჰმეთ ოგქე

"თუ გაქვს გული, იარე, ეძებე მეგობარი შენებრ გულიანი". (მევლანა, მესნევი, 6/238)

გული

სპარსულ ენაში გული არის დერუნ,არაბულში -ქალბ,თურქულში კი- იურექ. როდესაც თურქული თასავვუფის ლიტერატურას ვეცნობით, ვხვდებით, რომ რელიგიურ ლიტარეტურაში გამოყენებული სიტყვა „ქალბ" და სხვა ტერმინები ზუსტად იგივე მნიშვნელობით არ არის გამოყენებული. გარდა ამისა,როგორც რელიგიურ,ისე თასავვუფის ლიტერატურაში გული არის ის წყარო, რომელიც ცოდნას, გრძნობებს, ფიქრსა და შთაგონებას კვებავს. სწორედ ისაა მთავარი თვისება, რომელიც ადამიანებს ერთმანეთისგან განასხვავებს. გონება ადამიანს სხვა არსებებისგან განასხვა-

ვებს, ხოლო გული ადამიანებს ღვთის წინაშე წარადგენს. ღვთის სიტყვა, რომელიც ყურანის სახითაა მოვლენილი, ყველაზე უკეთ გულის საშუალებით აღიქმება.

ამ მოკლე განმარტების შემდეგ შეეცდებით მევლანას შეხედულებები გაგიზიაროთ, რითიც გავიგებთ, თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ის გულს.

გულითადი მეგობრის ძიება.

„ქალაქებისა და სოფლების მფლობელი მატერიას (მიწებს) ფლობს, ხოლო გული ვისაც აქვს, ის გულთამპყრობელია“, - ამბობდა მევლანა. ისინი გულთამპყრობელები არიან. გულთამპყრობელი გულის სილამაზეს ფლობს, ხოლო გულის სილამაზე მუდმივია. გულის ძიება სიცოცხლის წყაროს ძიებაა. მისი სუნთქვა აპრილის წვიმას გავს, რომელიც ბარაქის მომტანია. ამგვარი წვიმების წყალობით ადამიანის სულსა და გულში ასობით სილამაზე იკვირტება. მათი სუნთქვა ამ იღბლიან ადამიანებს იგივე სალბუნად მოედება, როგორც აპრილის წვიმა- მიწას.

მევლანა ამბობს: „ვაუკაცების საუბარი შენც გავაუკაცებს. უხეში ქვა და მარმარილოც რომ იყო, გულიან ადამიანთან

თუ მოხვდები, სამკაულად გადაიქცევი“. მევლანას აზრით გულნათელი ადამიანის მსახურება მეფის გვირგვინზე უფრო კარგია. გულნათელი ადამიანები ხომ ღვთიური წყალობის ადრესატები არიან. ისინი ყველაზე უკეთ გრძნობენ ღვთიური ბრძანებებისა და აკრძალვების სიბრძნეს და ამ ყველაფერის საუკეთესოდ დასწავლა მხოლოდ მათგან არის შესაძლებელი. „ღვთიური ბრძანება ღმერთთან დაახლოებულ ადამიანს უნდა ჰკითხო და მისგან ისწავლო. ყველას გული ღვთიურ ბრძანებას ვერ გაიგებს“, ამბობს მევლანა. ვისაც ნათელი გული აქვს მათ გულებში მხოლოდ ღმერთია და არაფერი სხვა.

ღვთიური გზა, ღვთიური სამყოფელი მხოლოდ იმათ იციან, ვისაც გული ნათელით აქვთ სავსე. ასეთი გულნათელი ადამიანები ღმერთთან პირდაპირ კავშირს ამყარებენ. ისინი გრძნობენ ღვთის სიდიადეს და ეს მათი შთაგონების წყაროა. ამის გამო გულნათელი ადამიანები ყველაზე უხეშ გულსაც ალღვობენ და არბილებენ. ასეთ დროს გულში გავლილი ყველა მოვლენა კონტროლს გადის: „ეს ცუდია“, „ეს კარგია“ და ა.შ. ასე ყოველ მოვლენაზე ბეჭდის დასმის უკან ვინ დგას? ის! ჭეშმარიტი მეგობარი. გულითადი მეგობრების ყველაზე დიდი მეგობარი. ამიტომაა, რომ უდიდესი გულთამპყრობელის წინაშე

გულს უნდა გავუფრთხილდეთ და დავიცვათ. უზენაესმა ხომ ჩვენი გულისნადებიც კი იცის. მცოდნესთან ენა, ხოლო გულთამპყრობელთან გული უნდა გავაკონტროლოთ.

გულიანი ადამიანი ჭეშმარიტების ნაპერწკლების გამონათებაზე შეჩვეულია. მას უწყვეტი და სისტემატიური კავშირი გააჩნია. გულია ყველაფრის მამოტივირებელი. რომ არა გული, სხეულმა ლაპარაკი, ფიქრი, ძიება საიდან უნდა იცოდეს? გულიანი ადამიანი სარკეა. ამქვეყნიურ ორომტრიალში ჩაძირულ ადამიანებს ასეთი გულნათელი ადამიანი სჭირდებათ, რათა გული გაუნათდეთ.

თვალის სინათლე, გულის სინათლეა.

ჭეშმარიტება კი მეგობარს გიჩვენებს

მევნალა წერს: „თუ გულში გულისმიერი ნათელი არ არის, ის გული გული არ არის“. თვალს შეუძლია დაინახოს მატერიალური საგნები და მათი ფერები განასხვავოს, მაგრამ ამისათვის მზის, მთვარის ან ვარსკვლავებისგან მომდინარე შუქი სჭირდება. ადამიანის თვალით ხედვა მათი ნათელის კვალობაზეა შესაძლებელი. რაც შეეხება უჩინარ ფერებს, რაც შინაგან სამ-

ყაროშია, მხოლოდ გულის ხედვითაა შესაძლებელი, რომელსაც ღვთიური ნათელი აქვს მოფენილი. თუ არ არის სინათლე, არ არის თვალიც. თვალები იმდენად სუსტია, რომ მზის სინათლესაც ვერ უძლებენ. ასეთი თვალები და გულები ღამურას მსგავსნი არიან. ღამურა მზის სინათლესა და სითბოს ვერ უძლებს. თუ ადამიანის გული ღვთიური ნათელის მიღებასა და გავრცელებას ისწავლის, მას მზე თვალს ვეღარ დაუბრმავებს.

გულის თვალი მხოლოდ მეგობარს ხედავს

გული ადამიანის სხეულში არსებულ გრძნობის ორგანოებს თავისი სასურველი მიმართულებით წარმართავს. მას შეუძლია ადამიანი ქვესკნელზე უფრო დაბლა დასცეს და ასევე შეუძლია უმაღლეს მწვერვალამდე აღამაღლოს. ვისაც გულის ხმა ესმის და გული ნათელით აქვს მოფენილი, ის ყოველთვის მაღლა, შორს, ჰორიზონტისკენ ისწრაფვის და მეტაფიზიკურ სამყაროში, მეგობართა მეგობრისკენ მიილტვის. ვინც გულის თვალით ხედავს, ყველაფერს აშკარად ამჩნევს. მისი რწმენა გულის ხედვითაა გამოწვეული.

შინაგან ცდუნებებსა და სურვილებს აყოლილი ადამიანისთვის გულის ხედვა წაშლილია, ამბობს მევლანა. ვინც გულის თვალს ამ დაავადებისგან ვერ განკურნავს, არამარტო უზენაეს მეგობარს, არამედ მის კვალსაც კი ვერ შეამჩნევს.

გულის თვალდაბრმავებულ ადამიანებს მევლანა ასე ეხმიანება: „ამქვეყანასა და ამქვეყნიურს დაუთმეს გული, ამიტომ მათი გულის თვალი ბრმაა“.

გულის თვალი მეგობართან შეხმიანებაა

მევლანას აზრით ერთ ენაზე ლაპარაკი სიახლოვის მაჩვენებელია. ადამიანი თუ ისეთ გარემოცვაში მოხვდება, სადაც მისი ენა არ ესმით და მას სხვების ენა არ ესმის, ის აუცილებლად თავს უცხოდ იგრძნობს. ის შეწუხდება და თავს ტყვედ წარმოიდგენს. თუმცა ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ერთ ენაზე მეტყველება მეგობრობის დასამყარებლად საკმარისი არ არის. დედამიწაზე მრავალი ადამიანი არსებობს, რომლებიც სხვადასხვა ენაზე მეტყველებენ, მაგრამ ერთმანეთს კარგად უგებენ და მეგობრობენ. ასევე ყველამ ვიცით, რომ ერთ ენაზე მოლაპარაკე, ერთ სივრცე-

ში მცხოვრები ადამიანებიც ხშირად ვერ ახერხებენ მეგობრობას და მარტოობით იტანჯებიან. გამომდინარე აქედან მეგობრობის ენა სულ სხვა ენაა და ის ჩვეულებრივ სამეტყველო ენისგან სრულებით განსხვავებულია. გულებს შორის ათასობით თარჯიმანს მიმოაქვს სიტყვა.

გულის სარკე: იქ ჩანს მეგობარი

ისინი თავიანთ გულებს ღვთის ხსენებითა და ფიქრით განანათლებენ და ისეთი კრიალა გულის პატრონი არიან, რომ მათი გულის სარკეში სამყაროს გამჩენის გამოვლინება ირეკლება. გულის სარკის ერთ-ერთი გამოვლინება მოთმინებაა. უმეცრებისგან წამოსული ტანჯვის მოთმენა განსწავლულთა წესია. რამდენადაც სუფთა და სპეტაკია გული, იმდენად მეტის დანახვა შეუძლია. ვინც გულს მეტად განიწმინდავს, მეტს დაინახავს. გაწმენდილ სარკეში უფრო მეტი და მკაფიო გამოსახულებები ირეკლება.

ამქვეყნიური, ფუჭი ღირებულებების გულიდან ამოღება ადამიანს შესაძლებლობას მისცემს უხილავის ხედვა დაიწყოს. გულის სარკე სუფთა და კრიალა უნდა იყოს, რომ იქ აღბეჭდილი ცუდი გამოსა-

ხულება კარგისგან განვასხვავოთ. მევლანა ამბობდა, რომ როდესაც გულის სარკე სუფთა იქნება ის მატერიალური საგენის გარდა სხვა რამეებსაც დაინახავს. ის სამყაროს სილამაზესაც აღბეჭდავს და ამ სილამაზის გამჩენსაც აირეკლავს.

მევლანა თავის მესნევიში გულის სიწმინდეზე საუბრობს და ამ მიზნით მოგვითხრობს ამბავს, რომელიც მხატვრების შეჯიბრებას შეეხება. ქვეყნის მეფე გადაწყვეტს მოაწყოს შეჯიბრება, რათა გაირკვეს, რომელი სახის მხატვრობაა უკეთესი. მათ დიდი დარბაზის კედლები უნდა მოეხატათ. დარბაზი უზარმაზარი ფარდით ზუსტად შუაში გაყვეს, რათა მხატვრებს საამუშაოდ თანაბარი ადგილი ჰქონოდათ და ამასთანავე ერთმანეთის ნამუშევრები არ ენახათ.ჩინეთიდან მოწვეულმა მხატვრებმა დიდი სიბეჯითე და ოსტატობა გამოავლინეს და კედლები ნაირფერადი ორნამენტებით მოკაზმეს. ანატოლიელმა მხატვრებმა კი მხოლოდ კედლები გაასწორეს და გააპრიალეს, მაგრამ კედლები ისეთი კრიალა იყო რომ დედამიწაზე ვერცერთი სარკე ვერ შეედრებოდა. შეჯიბრისთვის განკუთვნილი დრო რომ ამოიწურა მეფემ და ჟიურის სხვა წევრებმა ჩინელების მიერ შესრულებული სამუშაო ნახეს და აღფრთოვანება ვერ დამალეს. ანატოლიელმა მხატვრებმა კი მოითხოვეს, რომ დარბაზის

გამყოფი ფარდა ჩამოეხსნათ. მნახველების თვალწინ სასწაული სანახაობა გადაიშალა. ჩინელი მხატვრების მიერ შესრულებული ულამაზესი მხატვრობა მოპირდაპირე კედლებზე უფრო ლამაზად ირეკლებოდა. ბოლოს კი ჟიურის გადაწყვეტილებით ანატოლიელმა მხატვრებმა გაიმარჯვეს. მევლანას ამ ამბის მოყოლისას სათქმელი ბოლოსთვის აქვს მოტოვებული. ორასამდე ფერით მოხატვის მაგივრად, სასურველია ამქვეყნიური ყველა სურვილის, ცდუნების, სიძუნწის და ყველანაირი შფოთვისგან გათავისუფლება,რათა განწმენდილმა გულმა ნამდვილი სილამაზე,ღვთისგან მომდინარე სილამაზე აირეკლოს და წარმოაჩინოს.

გულის კარი, გულის ფანჯარა მეგობრისთვის ღიაა

განწმენდილთა გულები ღვთისთვის გაღებული ფანჯარაა. ცოდვილთა გულები კედლებივით არის, მაგრამ მორწმუნეთა გული ყოველთვის ღიაა. რასაც ასე ღრმადმორწმუნენი ხედავენ, იმას ცოდვილნი ვერ შენიშნავენ.

ასეთი გულგახსნილი ადამიანები ქმნიან იმ ფანჯრებს, რომლებიც გულიდან გულამდე გადის და ჭეშმარიტების მცდარის-

გან გარკვევაში გვეხმარება. გულიდან გულამდე აუცილებლად არის უხილავი ფანჯარა, ამბობდა მევლანა. ორი გული სხეულების მსგავსად ცალკე არ რჩება. ორი სანთელი გვერდიგვერდ ან მოშორებით შეიძლება იდგეს, მაგრამ მათი სინათლე ერთმანეთში შერეულია. თუ ერთ გულში სიყვარულმა მეხის მსგავსად იჭექა, ეს ნიშნავს,რომ მეორე გულშიც სიყვარულია. თუ ჩვენს გულში ღვთისადმი სიყვარულმა დაისადგურა, უეჭველია, რომ ღმერთს ჩვენ ვუყვარვართ. ეს ნიშნავს,რომ ჩვენი გულის ფანჯარა გაიხსნა.

გულის წიგნი: მეგობრის სიტყვის მომლოდინე სუფთა ფურცელი

მევლანა ამბობდა, რომ ყოველ სუფის თავისი წიგნი გააჩნია და ამ წიგნში ჩვეულებრივი კალმით კი არ წერს, არამედ თოვლივით სუფთად ინახავს. ეს წიგნი მისი გულია. ამ წიგნში მხოლოდ მისი მეგობრის სიტყვებია. ამ წიგნში სხვა რამეების, ნახატების, ნაკაწრების ადგილი არ არის.

გულის წიგნის ფურცლები გონების წყალობით სუფთავდება. მევლანა ამბობს, რომ თუ თეთრ ფურცელზე რაიმეს დავ-

წერთ, დახედვისთანავე მის წაკითხვას შევძლებთ. დაწერილ ფურცელზე თუ კიდევ დავწერთ შეიძლება წაკითხვა შევძლოთ, მაგრამ კარგად ვერ გავიგებთ. დაწერილ ფურცელზე ზევიდან კიდე დაწერა ორივე ნაწერს გაუგებარს გახდის. ამიტომაა, რომ გულის წიგნი ყოველგვარი ნაწერებისგან უნდა გავასუფთავოთ და ჭეშმარიტების დასაწერად სრულიად ხელსაყრელი გავხადოთ. გადარჩენის გზა ესაა.

გული, როგორც მთა, სადაც მეგობრის ხმა ექოდ ისმის

გული მთას გავს, რომელიც მეგობრის ხმას ექოდ გამოსცემს, ამბობდა მევლანა. გულის მთაზე ექოდ გახმოვანებული ხმა ვის ეკუთვნის? მთა ზოგჯერ ყოველწამს ხმაურობს, ზოგჯერ კი უჩუმრადაა. ყოვლისმპყრობელი ყოველთვის ყველგანაა და მისი ნამოქმედარი დროულია. მთავარია ჩვენი გულის მთა მისი ხმის მისაღებად და ექოს გამოსაცემად მზად იყოს. ზოგი მთა ორჯერ მეტ ხმას გამოსცემს, ზოგი -ასჯერ. ამ ხმის შედეგად მთიდან უთვალავი ნაკადული მოედინება, მაგრამ თუ მთა ამ ხმის გარეშე დარჩა, მაშინ ყველა ნაკადული შეწყდება. მევლანა ასეთ ადამიანებს ურჩევს გული განიწმინდონ,

რათა უზენაესის ხმა მისწვდეს ამ გულს და აახმაუროს.

გულის ტახტი, მეგობრის სამყოფელი

გული თუ ცდუნებებისა და ამქვეყნიური სურვილებისგან განიწმინდა, ამ გულში სამყაროს მბრძანებელის ტახტია დადგმული. ამის შემდეგ ამ გულში მხოლოდ ღვთის ადგილია. გულმა უკვე მასთან კავშირი დაამყარა. ღმერთი ხომ ორივე ქვეყანაზე (საიქიო და სააქაო) მხოლოდ ადამიანთა გულებს უყურებს.

„ადამიანს ძალიან ფაქიზი შინაგანი სამყარო (გული, სული) გააჩნია. თუ ადამიანი ხარ, ის უნდა ეძებო. (3/279), ამბობს მევლანა. მოდით გულის ხმას ყური დავუგდოთ. სულში რომ სული გაგაჩნია, ის მოძებნე. ამ სხეულში რომ განძია, ის მოძებნე. მიმავალო მგზავრო, მთელი მონდომებით უნდა მოძებნო. გარეთ ნუ ეძებ. რასაც შენ ეძებ ის შენივე გულში უნდა მოძებნო“.

გამომდინარე აქედან, მევლანას ნათქვამსაც მხოლოდ სმენა კი არ უნდა მივაპყროთ, გულით უნდა მოვუსმინოთ. თუ გაქვს გული, ნუ გაჩერდები და შენც მევლანას მსგავსად ეძებე. ისე ეძებე, რომ შენი გული და სულიც განათდეს. ისე უნდა ეძებო,

რომ შენი გულის ხმა გაიხსნას და შენი გულის სარკეში ჭეშმარიტება გამოჩნდეს. შენი გულის კარებიდან უზენაესის წყალობა უნდა ჩანდეს. შენი გულის წიგნი მხოლოდ უზენაესის სიტყვებით უნდა დაიწეროს. შენი გულის მთებში მხოლოდ უზენაესის ხმა უნდა ისმოდეს. მოკლედ, შენი გული მხოლოდ უზენაესის სამფლობელო უნდა იყოს.

„რაიმე უბედურების გამო თუ დამწუხრდები, მთელი ქვეყანა გაუსაძლისი მოგეჩვენება. თუ მეგობრების სიხარულით გაიხარებ, ეს ქვეყანა ვარდის ბაღნარად გადაგეშლება“.

muslim georgia
muslim georgia foundation
international charity

ადამიანთა მოყვარე შეგლანა ჯალალედდინ რუმი

ომერ ილმაზი

მეცნიერების ყველა სფერო ადამიანს განსხვავებული მხრიდან განიხილავს. რაც შეეხება რელიგიებს, ისინი ადამიანს, უმეტესწილად სულიერი მხრიდან აფასებენ. ბუნებრივია არცერთი რელიგია და მითუმეტეს არც ისლამი, ადამიანის ფიზიკურ მხარეს არ უგულებელყოფს. ყურანშიც ნაბრძანებია, რომ ადამიანი მიწისგან და წყლისგან არის გაჩენილი.

ყურანში ნაბრძანებია, რომ ადამიანი გაჩენილთაგან ყველაზე მაღალ საფეხურზე დგას. ამდენად ყურანში ისტორია ადამიანით იწყება (ალაქ 1-5). პირველივე აიათებიდან ცხადია რომ ყურანის მიმართვის ადრესატი ადამიანია. გამომდინარე აქედან ადამიანის ადგილი ღვთის წინაშე ძალიან განსაკუთრებულია. (იხ. თინ 4 და ისრა 70). სწორედ ესოდენ დიდი პატივის შედეგია ის პასუხიმგებლობაც, რაც ადამიანმა იტვირთა. ცხადი ხდება, რომ ღმერთს ადამიანი

:ტყულუბრალოდ“ არ გაუჩენია. (იხ. ენამ 165; ბაყარა 30; სად 26; არაფ 69; ნემლ 62)

ყურანში ნაბრძანებია:

„უთხრა : „ჰე, იბლის! რამ დაგაბრკოლა შენ, რომ სეჯდე არ აღასრულე იმისთვის, ვინც გავაჩინე ჩემი ხელით? გადიდგულდი თუ გაამაყდი?“ (სად 75)

„და როცა მივცემ სახეს და შთავბერავ მას ჩემი სულიდან, მაშინვე სეჯდე აღასრულეთ მისთვის!“ (სად 72)

„და როცა მივცემ სახეს და შთავბერავ მას ჩემი სულიდან, მაშინვე მუხლმოყრილნი განერთხეთ მიწაზე მისთვის!“ (ჰიჯრ 29)

როდესაც ღმერთი ადამიანის შესახებ ასეთ რამეს ბრძანებს, ეს სრულებით საკმარისია, რომ ჩვენ ადამიანი გაჩენილთაგან ყველაზე ამაღლებულ არსებად მივიჩნიოთ. გარდა ამისა, ღმერთმა ყველაფერი იმისათვის შექმნა, რომ ადამიანს გამოეყენებინა. ღმერთმა ეშმაკიც იმიტომ გააძევა სამოთხიდან, რომ მან ღვთის ბრძანება არ შეასრულა და ადამს თაყვანი არ სცა.

„და ვფიცავ, ჩვენ გაგაჩინეთ თქვენ ,მერე ჩვენ გამოვსახეთ სახე თქვენი. მერე ვუბრ-

ძანეთ ანგელოზებს, სეჯდე აღასრულეთ ადამისთვის! და ყველა მათგანმა სეჯდე აღასრულა, ეშმაკის გარდა , და სეჯდეს აღმსრულებთაგან არ იყო იგი.

უთხრა : რამ დაგაბრკოლა შენ, რომ არ აღასრულე სეჯდე, როცა მე გიბრძანე? მიუგო : მე მასზე უკეთესი ვარ, მე ცეცხლისგან გამაჩინე, და ის ტალახისგან გააჩინე შენ.

უთხრა : ჩადი აქედან . აქ არა გაქვს ქედმაღლობის უფლება შენ. ახლავე გადი აქედან! უეჭველად, დამცრობილი ხარ შენ!“ (არაფ 11-13)

ამ ყველაფრიდან გამომდინარე ადამიანმა უნდა გაითავისოს მასზე მინიჭებული მნიშვნელობა და გაიაზროს ის პასუხიმგებლობა, რაც მას გააჩნია. გამომდინარე აქედან ადამიანი შესაბამისად უნდა მოიქცეს და ამდენად ღირსეული წყალობისთვის უზენაესს თაყვანი სცეს.

ყურანი ადამიანის შესახებ ესოდენ მაღალი შეფასების შემდეგ ასევე მის ნაკლოვანებებზეც საუბრობს: ადამიანი უმწეო, ხარბი, სულსწრაფი, უმადური და უმეცარი არსებაა.

„უეჭველად, ადამიანი ხარბ (გაუმაძღარ) არსებად არის გაჩენილი.

თუ სიავე მიეწევა მას, იწყებს გოდებას,

და თუ კარგი ეწევა, იწყებს ძუნწობას,“ (მეარიჯ 19-21)

„მაგრამ როდესაც სცდის მას და უზღუდავს საკვებს, მაშინ იტყვის: ღმერთმა ჩემმა დამამცირაო!

არამც და არამც! თქვენ თავად პატივს არ მიაგებთ ობოლს,

და არ აქეზებთ ერთმანეთს ღატაკთა დასაპურებლად,

და მემკვიდრეობას (ალალისა და არამის განუსხვავებლად) ხარბად მიირთმევთ,

და გიყვართ ქონება გადაჭარბებული სიყვარულით“. (ფეჯრ 16-20)

„ალლაჰს თქვენთვის შემსუბუქება ნებავს, რადგანაც ადამიანი გაჩენილ იქმნა სუსტი“. (ნისა 28. იხ. აგრეთვე ნაჰლ 4; აჰზაბ 72)

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანს ცოდვისადმი მიდრეკილებები გააჩნია. პირველი ადამიანი, შუამავალი ადამიც კი შეცდა და აკრძალული ხილი შეჭამა, რამაც მისი სამოთხიდან გამოძევება გამოიწვია.

აი ასეთ მრავალმხრივ არსებას, ამდენი დადებითი და უარყოფითი თვისებით შემკულ ადამიანს ერგო ის პასუხისმგებლობა, რასაც ღვთიური გზავნილი გულისხმობს. ამდენად, ადამიანი თავისი თვისებებიდან გამომდინარე, მხოლოდ ერთი მხრივ კი არა, მრავალმხრივ უნდა შეფასდეს. ადამიანის განხილვისას მისი სულიერი და ფიზიკური მხარეები უნდა იქნას გათვალისწინებული. თუ ადამიანს, როგორც მხოლოდ ფიზიკურ არსებას განვიხილავთ, აქ მისი ფიზიკური არსებობისთვის აუცილებელი საჭიროებები წამოვა წინა პლანზე და მისი ცხოვრების სტილი მხოლოდ ამ მიმართულებით განვითარებული უნარების შესაბამისი იქნება, რაც მისი სულიერი მხარის, მისი ზნეობის უკანა პლანზე გადაწევას გამოიწვევს. მართალია ადამიანი ფიზიკური „მასალის“, მიწისგან იქნა გაჩენილი, მაგრამ შემდეგ ღმერთმა მას ღვთიური სული შთაბერა, რამაც ადამიანი ადამიანად აქცია. მევლანა ამბობდა, რომ ადამიანი აზროვნებისგან შედგებოდა, სხვა განარჩენი კი ძვალი და ხორცი იყო.

ღმერთი ბრძანებს, რომ მან ადამიანი საუკეთესო ფორმით გააჩინა. მავლანა ამბობდა, რომ ღმერთს ადამიანი იმდენად მაღალ საფეხურზე ჰყავს, ეს რომ ვთქვა მეც დავიწვები და თქვენცო. მევლანას გაგების მიხედვით ადამიანის მიმართ პატივისცემა

ღმერთს მიმართ პატივისცემის გამომხატველი იყო, რადგან ღმერთმა ადამიანი საუკეთესო ფორმით გააჩინა და ამასთანავე ღვთიური სიტყვა უწყალობა.

მევლანა და სხვა სუფისტი სწავლულები ადამიანს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. მევლანას აზრით, ვინც არ უნდა ყოფილიყო, განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა თუ მიმდინარეობისა, მთავარი იყო ადამიანი და მისდამი პატივისცემა იყო საჭირო.

ასევე ყურადსაღებია მევლანას გარდაცვალების შემდეგ მისი დაკრძალვის ცერემონიალი, სადაც სხვადასხვა სარწმუნოების წარმომადგენელი, მრავალი ადამიანი მივიდა. მისი სიკვდილის გამო ყველანი დამწუხრებულიყვნენ. დღესაც სხვა და სხვა რელიგიის მიმდევრები მევლანას მიმართ დიდ პატივისცემასა და სიმპათიას გამოხატავენ.

ამრიგად, მევლანას მთელი მსოფლიო იცნობს და მის მიმართ ესოდენ სიყვარული გამოწვეულია იმის გამო, რომ ის ადამიანს უზომოდ სცემდა პატივს და ზოგადად ადამიანი უყვარდა.

მევლანა ამბობდა, რომ ყველა ადამიანში ერთნაირი სული იყო, მაგრამ მათი სხეულები განსხვავდებოდა. ის ასევე ამბობ-

და, რომ დედამიწაზე მრავალი ენა არსებობდა, მაგრამ ყველა მათგანს ერთნაირი შინაარსი ჰქონდა. სხვადასხვა ჭურჭელში ჩასხმული წყალი, ამ ჭურჭლების დამსხვრევის შემდეგ ისევ ერთმანეთს შეერევაო, ამბობდა ის. აქედან გამომდინარე ის ადამიანებს მშვიდობის, ძმობის, ერთანობის, სიკეთისა და სიყვარულისკენ მოუწოდებდა.

კი მაგრამ, მევლანა ესოდენ დიდ სიყვარულს საიდან ღებულობდა? სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ. მასში ადამიანისადმი ესოდენ დიდი სიყვარული როგორ გაჩნდა? უეჭველია, რომ მისი სიყვარულის წყარო ჯერ ყურანი, ხოლო შემდეგ შუამავალი იყო. ის ამბობდა: „სანამ პირში სული მიდგას, მე ყურანის მონა და შუამავლის გზაზე მტვერი ვარ“.

ან კიდევ, „მე ფარგალივით ვარ. ერთი ფეხი ისლამში მყარად მიდგას, ხოლო მეორე ფეხით სამოცდათორმეტ ხალხთან დავხეტიალობ“. აქედან ჩანს, რომ ის სრულიად ისლამზე იყო დამოკიდებული, მაგრამ ყველა ადამიანს პატივს სცემდა, რადგან ისინიც ღვთის გაჩენილები იყვნენ.

მევლანა, უპირველეს ყოვლისა, მუსლიმი მოაზროვნეა. მის მიერ ადამიანებისადმი ესოდენ უსაზღვრო სიყვარულის მიზეზის ისლამის გარდა სხვაგან ძიება უკიდურე-

სად მცდარი შეხედულებაა. ერთ-ერთი მწერალი ამბობდა: „მევლანას რომ გავუგოთ, ისლამი და ყურანი უნდა შევისწავლოთ“. მევლანას ცოდნას და კულტურულ განვითარებას ისლამი ედო საფუძვლად. ის იყო მისტიკური მოაზროვნე, რომლის ცოდნის წყარო ისლამი და ყურანი იყო.

მევლანა, რომელიც ყურანისა და მისგან შთაგონებული სუფისტური ტრადიციების მიმდევარი იყო, დღეს მთელ მსოფლიოში, მათ შორის ამერიკასა და ევროპაში ცნობილი და ხალხის მხრიდან საყვარელი ადამიანია. ეს ფაქტი გარკვეულწილად ისლამის მიმართ პოზიტიურ დამოკიდებულებას განაპირობებს და უფრო მეტიც, ადამიანები ისლამისკენ იხრებიან და ამ საქმეში ასეთი დიდი სულის ადამიანის როლი საკმაოდ დიდია.

სუფისტთა სკოლის წარმომადგელებს „ისლამის ლამაზი სახეებს“ უწოდებდნენ. დღევანდელ პერიოდში ადამიანის მიმართ სწორედ ასეთი აღქმა გვჭირდება. მისტიციზმის ტრადიციებმა რელიგიების ტრადიციული გამოცდილების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი სიმდიდრე შექმნა. მათი გზავნილები საზოგადოების ყველა ფენისთვის იოლად ხელმისაწვდომი იყო. რელიგიურ საქმთა მინისტრი ალი ბარდაქოღლუ ამბობს: „ამ შეხედულების მიზანი

და აზრი დამყარებულია პრინციპზე „არავის ატკინო და არავინ გატკინოს“. პრაქტიკაში ეს პრინციპი ადამიანის მიმართ დიდი სიყვარულის სახით იქნა გამოხატული. ეს არის კაცობრიობისათვის სიყვარულით სავსე ცხოვრების წყარო. ადამიანების თანაცხოვრებისა და შემწყნარებლობის თვალსაზრისით მათგან ბევრი რამის სწავლა შეიძლება. ისინი არიან: მუჰიდდინ იბნულ არაბი (გარდაიცვალა 1240), ჰაქიმ თირმიზი (გ. 932), იმამი რაბბანი (გ. 1624), აჰმეთ იესევი (1194), მევლანა (გ. 1273), იუნუს ემრე (გ. 1321), ჰაჯი ბექთაში ველი (გ. 1271) და სხვა.

კულტურის მინისტრის მიერ გაკეთებული განმარტება კი მნიშვნელოვანი შეფასების საფუძველს იძლევა: „კაცობრიობის აზროვნების ერთ-ერთი არქიტექტორი და ადამიანთა გულთამპყრობელი მევლანა მე-13 საუკუნიდან დღემდე გვახსოვს და კაცობრიობის არსებობის მანძილზე მისი ხსოვნა იარსებებს, როგორც სიყვარულის მაგალითი. მევლანას წაკითხვა და მისი გაგება ბოლომდე გახსნის სიყვარულის, პატივისცემის, მშვიდობისა და შემწყნარებლობის კარებს, რაც კაცობრიობს ესოდენ სჭირდება“.

მევლანა უნივერსალური გზავნილის პატრონი იყო. მის შესახებ თქმული მოსაზრებები მინდა ირენე მელიქოფის სიტყ-

ვებით დავასრულო: „მევლანას ნაწარმოებები რომ მსოფლიოს ხალხებმა თავიანთ ენებზე თარგმნონ და წაიკითხონ დედამიწაზე ბოროტება, ომი, შური, ბოღმა და სიძულვილი აღარ დარჩება“.

„მშვიდობის ტალხები ერთურთს ეხეთქება და ადამიანთა გულებში არსებულ სიძულვილს რეცხავს. მეორეს მხრივ ომის ტალღები სიყვარულს ანადგურებს. სიყვარული ტკივილს აამებს. სიყვარულის მიზანი სიმართლის გზაა“.

muslim georgia
muslim georgia international charity foundation

შეილია ვანაგრძობს ჩვენს ვანათლებას

მეჰმეთ ბულუთი

დიდი პოეტი და სიყვარულის ადამიანი მევლანა ჯალალედდინ რუმი (1207-1273) მე-13 საუკუნეში მოღვაწეობდა. იმ დროს ისლამური სამყარო როგორც ფიზიკურად, ისე სულიერად მნიშვნელოვან რყევებს განიცდიდა. იმ პერიოდში კაცობრიობა და მითუმეტეს ანატოლიაში მცხოვრები ადამიანები ყოველი მიმართულებით შეჭირვებულ მდგომარეობაში იყვნენ და სწორედ ამ დროს გამოჩნდა მევლანა, რომელმაც ადამიანებს სიყვარული, სიმამაცე და იმედი ჩაუსახა. მონღოლთა შემოსევების გამო განადგურების პირას მისული ქვეყანა და ადამიანთა სულიერი მდგომარეობა იმედის სხივს ეძებდა. მევლანა ყველა ღონეს ხმარობდა, ყველა გზას მიმართავდა, რომ ადამიანებისთვის სიყვარული და იმედი დაებრუნებინა. ის ქადაგებდა მეჩეთებში. ასწავლიდა მედრესეებში, წერდა ლექსებს და ყველა ამ გზით ცდილობდა ადამიანების ისლამისადმი კავშირი გაეძლიერებინა.

მევლანა მხოლოდ ლოკალურად ერთ კონკრეტულ ქვეყანას ან მხოლოდ მუსლიმებს არ ეხმიანებოდა. მისი სიტყვის გავრცელების არეალი გაცილებით ფართო მასშტაბების იყო და სხვადასხვა ერებსა და სხვადასხვა რელიგიის მიმდევრებს მოიცავდა.

ეპოქის სოციალური, პოლიტიკური და კულტურული გავლენები, სულიერი ღირებულებების მოთხოვნილება, სიმშვიდისა და კეთილდღეობის ძიება და ამ ყველაფერთან ერთად მევლანას პიროვნება, მისი მორალი და რელიგიური აღქმა, მისი სიტყვის ეფექტურობა და ავტორიტეტი, ადამიანებისადმი მინიჭებული ფასი, ადამიანისადმი სიყვარული და სხვა ფაქტორები, მთლიანობაში დიდი მნიშვნელობის მატარებელი მოვლენა იყო და ეს ყველაფერი ხალხის ფართო მასებზე ვრცელდებოდა.

მევლანას ცხოვრება, განსაკუთრებით კი 1247-1273 წლებში, მევლანა მნიშვნელოვან მოღვაწეობას ეწეოდა. ცნობილია, რომ მას ზოგჯერ ღამეებიც კი არ ეძინა.

ეპოქის ხასიათიდან გამომდინარე მევლანას მისია განსაკუთრებული იყო. ამის შესახებ სეზაი ქარაქოჩი წერს:

„მევლანა ერთის მხრივ მედრესაში მოღვაწეობას აგრძელებდა და იქ აღზრდილი

მოსწავლეები ანატოლიის სხვადასხვა მხარეში მიდიოდნენ. ამრიგად, მონღოლთა ბატონობის დროსაც კი ანატოლიის ხალხი სულიერად მარტო აღარ იყო დარჩენილი. ისლამის დებულებების ცოდნა, სამართალწარმოება, კანონის აღსრულება და ხალხის მორალური ფასეულობების შენარჩუნება სწორედ ამ მედრესეებში აღზრდილ და სხვადასხვა მხარეში წარგზავნილ ადამიანებზე იყო დამოკიდებული. ამ პერიოდის მასწავლებლებს თავინთი ცოდნა და სულიერი მოტივაცია მევლანასა და მისი მეგობრებისგან ჰქონდათ აღებული. მევლანას და მის მეგობრებს სახელმწიფოს მმართველებთანაც ჰქონდა კავშირები და ამ მიართულებითაც თანადგომას სწევდა.

განათლება- გაზაფხული, რომელიც ვარდებს შლის

მევლანას სჯეროდა, რომ განათლებით ადამიანის აღზრდა და მისი მორალური ფასეულობების ამაღლება შეიძლებოდა.

მისი აზრით ადამიანი დედამიწას ევლინებოდა, როგორც დასამუშავებელი მასალა, როგორც ცომი, რომელსაც შესაბამისი პოტენციალი და თვისებები გააჩნდა, რათა სასურველი ფორმა მიეღო. ადამიანში არ-

სებული ეს პოტენციური ძალა და უნარები განათლების გზით მჟღავნდებოდა და ვითარდებოდა. სხვა სიტვებით რომ ვთქვათ, მევლანას აზრით ადამიანის ჩამოყალიბებისა და ხასიათის ფორმირებისათვის განათლება უდიდეს როლს თამაშობდა.

განათლება ადამიანს კარგისა და სილამაზისკენ უბიძგებს და მათი აღმოჩენისათვის საჭირო უნარების განვითარებას უზრუნველყოფს.

როგორც წყალი აცოცხლებს მცენარეს და მის განვითარებას უზრუნველყოფს, ისეა ადამიანისთვის განათლებაც. ამიტომ განათლება ის გაზაფხულია, რომლის წყალობითაც ვარდები იფურჩქნება.

ადამიანზე ორიენტირებული განათლება

მევლანას ყველა ნაწარმოებში მთელი ფოკუსი ადამიანზეა გადატანილი. ადამიანის განათლება და მისი სულიერი აღზრდა წინა პლანზეა წამოწეული. მევლანას სათქმელის არსი და მიზანი ადამიანებს შორის სიყვარულის, მეგობრობისა და კეთილგანწყობის დამკვიდრება იყო.

მისი მიმართვის ადრესატი ხალხის ფართო მასები იყვნენ. მევლანა ადამიანებს არანაირი ნიშნით არ განასხვავებს და ყველას თანაბრად მიმართავს. მას ყველასთვის ჰქონდა სათქმელი, ყველა ეროვნებისა და რელიგიის ადამიანებისადმი. ის არავის გარიყავდა.

მევლანა ძალიან პოზიტიური, მომავლისკენ ორიენტირებული და მუდმივად სიახლის მაძიებელი პიროვნება იყო.

განათლების შესახები მისეული ხედვა ცვლილებებსა და განვითარებას მოიცავდა. მისი აზრით ცვლილება თავად ცხოვრება იყო. ადამიანებში ცვლილებების განხორციელებისათვის კი აღმზრდელების როლი ძალიან დიდია.

ეფექტური მეტაფორები

ადამიანების აღზრდისა და მათი ქცევების რეგულირებისთვის „ეფექტური მეტაფორების“ მეთოდი ოდითგანვე გავრცელებული მეთოდი იყო. ჩვენ ვხედავთ, რომ მევლანა ამ მეთოდს საკმაოდ ეფექტურად იყენებდა. თავის ლექსებში სათქმელს მეტაფორიულად ამბობდა და ამით ადრესატებზე გავლენას ახდენდა. მაგალითად, განათლების მნიშვნელობაზე საუბრისას

ის ამბობდა, რომ განათლების მომლოდინე ადამიანი გვალვაში წვიმის მომლოდინე ყანას გავს. მისი შედარებით მცენარისთვის რა მნიშვნელობაც წყალს აქვს, იგივე მნიშვნელობა აქვს განათლებას ადამიანისთვის.

სხვა მეტაფორაში მევლანა აღმზრდელს ადარებს დურგალს, რომელსაც მოსწავლის სახით ჯარ კიდევ გაურანდავი ფიცარი აქვს ხელთ. ის ამბობდა, რომ ბავშვი ფორმირებადი არსებაა და კარგი აღმზრდელი მას სასურველ ფორმას მისცემს.

უპირველეს ყოვლისა მესნევიში და სხვა ნაწარმოებში, მევლანა მკითხველებზე სათქმელის გასაზიარებლად შემდეგ მეთოდს იყენებდა. ჯერ საკითხთან დაკავშირებულ რაიმე იგავს აღწერდა. ზოგჯერ, სანამ ამ იგავში მოცემულ დედააზრს ახსნიდა, მანამდე სხვა იგავზე გადაერთვებოდა ხოლმე. მისი იგავების უმეტესობა ან შუამავლის ცხოვრების ამბები, ან კიდევ აღმოსავლური კლასიკური სიბრძნეები იყო. ბუნებრივია მევლანას მიზანი ამ იაგევბისგან მაგალითის აღება და შესაბამისი დასკვნების გაკეთება იყო. იგავებიდან დასკვნის გაკეთებას როგორც წესი მკითხველს არ ანდობდა და მზა დასკვნას აწვდიდა. ყველა იგავს შეუდარებელი ოსტატობით შედეგთან დააკავშირებდა და მკითხველს

ისე მიაწვდიდა ხოლმე. მისი ამგვარი სტილი შესაძლოა ყურანის თხრობის მეთოდზე მიბაძვა იყო.

მევლანას თხრობის ერთ-ერთი თვალსაჩინო მეთოდი საკითხის გამარტივება და მკითხველის გაგების დონესთან შესაბამისობა იყო. თხრობისას გამოყენებული არგუმენტები ცხადყოფს, რომ მას საკმაოდ დიდი ცოდნა და ინფორმაცია ჰქონდა დაგროვილი.

ამდენად მრავალმხრივი განათლების მქონე პიროვნება რელიგიურ საკითხებთან ერთად , ხშირად სხვა სფეროებსაც გადასწვდებოდა ხოლმე. საკმაოდ თვალშისაცემია მისი ანალიზი ასტრონომიის, ფოლისოფიის, მედიცინისა და სხვა სფეროების შესახებ.

მევლანა ყველაზე უიმედო სიტუაციაშიც კი იმედიანობასა და ოპტიმიზმს ქადაგებდა. სასოწარკვეთილების მომენტებში ადამიანებს სიცოცხლის აზრს უნერგავდა და მომავლისკენ იმედიანად ახედებდა. ის ადამიანებს გამბედაობას აძლევდა, რათა სამომავლოდ სრულყოფილებისკენ გზის გაგრძელება შესძლებოდათ.

მისი ნაწარმოებები საუკუნეების მანძილზე მრავალი შემოქმედის შთაგონების წყარო გამხდარა. დღესაც კი ჩვენ

შეგვიძლია გამოვიყენოთ მისი მეთოდები როგორც განათლების სფეროშ, ისე სხვა მნიშვნელოვანი მიმართულებებითაც.

ამ მხრივ მევალან ჩვენთვის ნამდვილად სამაგალითოა.

„რა არის სამართალი? ხეების მორწყვა. რა არის ბოროტება? ეკლის მორწყა. სამართლიანობა ისაა, თუ სარჩოს გავახარებთ, თორემ ყველა ფესვზე წყლის მიწოდება, რომელიც წყალს იწოვს არ არის სამართალი. ბოროტება? არასწორის კვებაა. ეს მხოლოდ უბედურებას მოიტანს“.

muslim georgia
muslim georgia foundation
muslim georgia international charity

მევლანას ღრმადმოწრფულობა

რამაზან ალთინთაში

ისლამის მიხედვით სარწმუნოება არის ღვთიური დებულებების ერთობლიობა, რომელსაც გონებასრული ადამიანი საკუთარი ნებით ირჩევს და აღიარებს. ამრიგად, რელიგია, როგორც მთლიანობა, ადამიანის ღმერთთან, სხვა ადამიანებთან და გარესამყაროსთან ურთიერთობებს არეგულირებს.

მევლანა მრავალმხრივი ცოდნის მფლობელი იყო. შესაბამისად მას არც „რელიგიურობის კლასიფიკაცია“ გამორჩენია. წინამდებარე წერილში სწორედ ამ საკითხზე, მორწმუნეობის ხარისხზე ვისაუბრებთ.

მევლანა გულწრფელი მორწმუნეობის მომხრე იყო. გულწრფელი მორწმუნოება გულისა და აზრის ამ მიმართულებით გაერთანებასა და შეთანხმებულ, ჰარმონიულ მდგომარეობას გულისხმობს. ეს ყველაფერი კი ქცევებსა და ზოგადად ცხოვრების სტილში გამოიხატება ხოლმე. სწორედ

ასეთი მუსლიმი იყო მევლანა. მისი რწმენა და ქცევები ერთ მთლიანობას წარმოადგენდა. მას სწამდა რომ ღვთისმსახურების რიტუალები,რომელსაც ის ასრულებდა,შინაგანი, სულიერი თაყვანისცემის გარეგანი ილუსტრაცია იყო. ისინი შინაგანი რწმენის გარეგანი დადასტურებაა. ის ამბობდა, რომ ნამაზი, მარხვა და სხვა ღვთისმსახურება მორწმუნოების მაჩვენებლები არიან. რაც შეეხება სიკეთის კეთებას, მშივრების დაპურებას, სტუმრებზე გამასპინძლებას და სხვა სოციალური სახის მორწმუნოების გამოვლინებას, ეს გულწრფელი მორწმუნოების ნიშნებიაო.

მევლანა რწმენასა და ქცევას ნაყოფის გულსა და ქერქს ადარებს. „როგორც ტვინის გარეშე თავი არაფრის მაქნისია და ასევე უვარგისია ნაოფი შიგთავსის გარეშე. ნებისმიერი მცენარის თესლი რომ მიწაში შიგთავსის გარეშე ჩავრგოთ იქ არაფერი ამოვა“ - ამბობდა ის. მევლანას ამგვარი მეტაფორით სურდა მორწმუნოების განმარტება. ადამიანის რწმენას ნაყოფის შიგთავვს ადარებდა, ხოლო ქერქს და გარეგან სახეს ღვთისმსახურებას და ქცევას.

მევლანა ამბობდა, რომ ღვთისმსახურების სული გულწრფელობა და ერთგულებაა. ისლამის აღქმის ამ პერსპექტივიდან

დანახვის საფუძველში არის პირობა, რომლის მიხედვითაც სხვებზე სიკეთის გაკეთება კი არ კმარა, არამედ ამ სიკეთის ღმერთამდე მიტანისთვის საჭირო შინაგანი რწმენა და ღვთის გულისათვის სიკეთის კეთებაა მნიშვნელოვანი. შესაბამისად გულწრფელი ღვთისმსახურება შემდეგი დაწყვილებული ფორმით არის გამოხატული: რწმენა-ქცევა, ფიქრი- მოქმედება, ფორმა-აზრი და ა.შ.

ყურანში ნაბრძანებია:

„უსათუოდ ვერ მიაღწევს ალლაჰთან ხორცნი შესაწირისა და ვერც სისხლნი მისი. მაგრამ მიუვა მას მხოლოდ თქვენი ღვთისმოშიშობა. ასე დაგიმორჩილათ მან ისინი თქვენ, რათა ადიდოთ ალლაჰი იმისთვის, რომ დაგაყენათ სწორ გზაზე. მაშ, ახარე სიკეთისმქმნელთ!“ (ჰაჯ 37)

მევლანა გმობს გულწრფელობას მოკლებულ მორწმუნეობას და იმ ადამიანებს, რომლებმაც მორწმუნოება სარგებელად აქციეს. ის პირდაპირ ილაშქრებს ამგვარი დამოკიდებულების მიმართ და შესაბამისი შინაარსის მატარებელ იგავებს უძღვნის.

მევლანა ამბობს, რომ ისლამში რწმენა და ღვთისმსახურება ჯერ „მიბაძვით“ იწ-

ყება, მორწმუნე შემდეგ იწყებს ფიქრს და ძიებას, შემდეგ კი იძენს ცოდნას. ეს საფეხურები თუ ბოლომდე არ მივიდა, მაშინ დარჩება თავდაპირველი „მიმბაძველობა“ და მოჩვენებითი მორწმუნოება. ეს კი საბოლოოდ დაცემა და გაუფასურებაა. ამიტომაა, რომ მევლანა უსულგულო, გულწრფელობას მოკლებულ მორწმუნოებას მკაცრად აკრიტიკებს.

მევლანა გულწრფელობის მომხრეა. მისი მიზანი ამგვარი მოჩვენებითობისა და მიბაძვის მხილება და მის უსარგებლობაზე მითითება იყო. მთელი ცხოვრება ასეთი მიმბაძველობაზე დამყარებული მორწმუნოება ვიწრო შეხედულებებს აყალიბებს და ასეთ ადამიანი ვერასოდეს გაიგებს თითოეული სიტყვის თუ მოქმედების მიღმა რა ხდება.

მევლანა მკაცრად აკრიტიკებს ისეთ ადამიანებს, რომლებიც ღრმადმორწმუნოებას თამაშობენ, რათა სხვების მხრიდან კეთილგანწყობა ან სხვა სარგებელი ნახონ. ასეთ ადამიანების მიზანი არა ღვთის კმაყოფილების მოპოვება, არამედ ადამიანების კეთილგანწყობის მოპოვებაა. გულწრფელი მსახური კი მხოლოდ და მხოლოდ ღვთის კმაყოფილების მოსაპოვებლად იღწვის.

მევლანა ასევე აკრიტიკებს ისეთ ადამიანებს, რომლებიც ღვთისმსახურებაშიც გულწრფელობას წინა პლანზე არ აყენებენ და სხვათა მოსაჩვენებლად ლოცულობენ. ასეთ ადამიანებს ადარებს შინაგანად აყროლებულ სხეულებს, რომლებსაც გარედან სურნელოვანი ნელსაცხებელი აცხიათ.

მევლანა მორწმუნოების მხრივ ზომიერების მომხრეც იყო. ამის დასტურად შეგვიძლია გავიხსენოთ ერთ-ერთი ამბავი, რომლის დროსაც მუსლიმი და არამუსლიმი კონკრეტულ საკითხზე საუბრობენ. მევლანა მოგვითხრობს: „ბეიაზიდ მესტამის ცხოვრების დროს ერთი არამუსლიმი პიროვნება ცხოვრობდა. ერთ-ერთი მუსლიმი მივიდა მასთან და ისლამის მიღება ურჩია. არამუსლიმმა კი უპასუხა: თუ მუსლიმის მოდელი ბეაზიდ ბესტამია, მე ეგეთი მუსლიმობისთვის ძალა არ მეყოფა“-ო.

ამ დიალოგიდან შეგვიძლია შემდეგი დასკვნა გამოვიტანოთ: მევლანა არა მიუღწეველი, არამედ ზომიერი მორწმუნოების მომხრე იყო. ბეაზიდის მორწმუნეობა შეიძლება მაღალ საფეხურზე მყოფი გამოცდილების შედეგი იყო და ეს მორწმუნეთა მხრიდანაც დიდ მოწონებას იმსახურებდა, მაგრამ მასებზე მისი შეთავაზება ფართო მასებზე ალბათ პრობლემებს გამოიწვევ-

და. ამის გამო მევლანა ამგვარი ტიპის მორწმუნეობას, რომელიც ადამიანის შესაძლებლობას მძიმედ აწვებოდა, მხარს არ უჭერდა და უფრო ზომიერი დამოკიდებულების მომხრე იყო.

მევლანა ასევე აკრიტიკებს ისეთი სახის მორწმუნოებას, როდესაც მორწმუნე მხოლოდ რწმენითაა აღჭურვილი და მისი რწმენა კონკრეტულ ქცევებში ან ცხოვრების სტილში არ ვლინდება. მევლანა გვაფრთხილებს, რომ რწმენას შესაბამისი ქცევა უნდა ახლდეს და ეს ერთ მთლიანობას უნდა წარმოადგენდეს. ასეთ შემთხვევაში ადამიანები ისლამის მიმართ უფრო მეტი სიმპათიით აღივსებიან.

საბოლოოდ რომ ვთქვათ, მევლანას შეხედულება მორწმუნოებაზე მდგომარეობს შემდეგში: მორწმუნე ადამიანისთვის რწმენა და საქმე ერთმანეთთან თანხვედრაში უნდა იყოს. ყოველი მორწმუნის ნებისმიერი ქცევა ღვთის კმაყოფილებას უნდა ემსახურებოდეს და მისი მორწმუნოების მაჩვენებელი უნდა იყოს. მევლანა მკაცრად აკრიტიკებს ისეთ მორწმუნოებას, რომელსაც გულწრფელობა არ ახლავს თან.

მევლანა შუამავალ მუჰამმედის შესახებ

იბრაჰიმ ემიროღლუ

მევლანა ჯალალედდინ რუმი (1207-1273) არის მნიშვნელოვანი მოღვაწე, რომელმაც თავისი ცხოვრება ზოდნას, განათლებას, ზნეობას, მოკლედ ღმერთსა და ხალხს მიუძღვნა. მევლანას თავისი ცხოვრების მაგალითად შუამავლი მუჰამმედი ჰყავდა და ის თავის ნაწარმოებებში ადამიანებს სიკეთის, სიყვარულის და მორწმუნეობრივი ცხოვრებისკენ მოუწოდებდა.

მევლანა თავის ნაწარმოებებში შუამავლებს, მათ მოღვაწეობას და ზნეობრივ სიდიადეს ხშირად აღწერდა. მის ნაწარმოებებში ყველა შუამავალია განხილული, რომლებიც ყურანში არიან ნახსენები. მათგან ყველაზე ხშირად ადამს, იბრაჰიმს, მოსეს, იუსუფს, სულეიმანს, იესოს და მუჰამმედს განიხილავდა. მის ნაწარმოებებში ჩანს, რომ მევლანა ყველაზე დიდ მნიშვნელობას შუამავალ მუჰამმედს ანიჭებდა.

მევლანა ისლამზე და ისლამის შუამავალზე დიდად იყო დამოკიდებული და ცნობილია, რომ ცხოვრება ღვთისმსახურებაში, ღვთის დიდებასა და შუამავლის ხსენებაში გაატარა.

მევლანას აზრით შუამავლის გაგება ძალიან მნიშვნელოვანია. ის ამბობდა, რომ ვინც შუამავლს გაუგებს და მის მიერ ნაჩვენები გზით ივლის, მას მიტევება და წყალობა ელოდება. ამის მიუხედავად ყველას მისი გაგება არ შეუძლია. შუამავლის უბრალოება, მისი სანდოობა, სიმართლე, მასზე მოვლენილი გზავნილის უბადლოდ გადმოცემა ადამიანთა ნაწილისთვის სრულად გასაგები არ აღმოჩნდა და მიუხედავად ესოდენ მაღალი თვისებებისა ყველას მხრიდან სათანადო აღქმა არ გამოვლინდა, რისი მიზეზიც არა ჭეშმარიტი და რაციონალური მიზეზები, არამედ არასათანადო ყურადღებაა.

შუამავალის მოძღვრების სწორად გასაგებად მევლანა მიიჩნევს, რომ საჭიროა უმეცრების, ამპარტავნების, ბოროტი მისწრაფებებისა და მცდარი განსჯის სრულიად უგულებელყოფა. მევლანას აზრით ღმერთმა მიწისგან უთვალავი ადამიანი გააჩინა, მაგრამ მათგან ყველაზე მაღლა შუამავალი მუჰაამმედი დააყენა.

მევლანას ნაწარმოებებში შუამავლის შესახებ მოცემულ ინფორმაციას თუ გადავხედავთ, დავინახავთ, რომ მევლენა შუამავლის უპირატესობას, მის მნიშვნელობას, მის მაღალ ზნეობას, მის ღვთით რჩეულობას და მის უდიდეს მისიას აღიარებდა და დიდ პატივს სცემდა.

მევლანა წერს, რომ შუამავლის სიდიდე და გამორჩეულობა ჯერ კიდევ ბავშვობაშივე ცხადი იყო. მისი შუამავლობა ბავშვობაშვე სხვადასხვა სასწაულებრივი მოვლენებით ვლინდებოდა. მას მოევლინა ღვთიური სიტყვა და ის ღვთის სიტყვას ხალხს გადასცემდა.

მეველანა შუამავლის შესახებ წერს:

“ჰზ. მუჰამმედის განმარტებით, მის მერე შუამავალი აღარ იქნება მოვლენილი და არცერთი შუამავლის მიმდევრები მის მიმდევრებზე უპირატესი არ იქნებიან. ისლამმა გააუქმა ყველა წინარე სარწმუნოების დებულებები, მაგრამ არ იარსებებს სხვა სარწმუნოება, რომელიც ისლამის დებულებებს გააუქმებს“.

„სწორედ ამის გამო იცოდე, რომ შენი ლიდერი მუჰამმედია. მის ამოსუნთქვასთან

ერთად ორივე ქვეყნის კარები იღება. მისი ვედრება ორივე ქვეყნად მიღებულია“. (მესნევი. 6. გვ. 15)

უაკანასკნელი შუამავლის სარწმუნოების წყალობით სამყაროს ბარაქა ევლინება. მისი ვედრება ორივე ქვეყანაზე მიღებულია. მასზე გაყოლა ამქვეყნად რწმენისკენ წაგვიყვანს, იმქვეყნად კი -სამოთხეში.

ეს ეპოქა ანუ ბოლო ჟამი შუამავლ მუჰამმედის ეპოქაა. მევლენა წერს, რომ შუამავალი მოსე ღმერთს ევედრებოდა ბოლო ჟამის ეპოქაში მაცხოვრე და მუჰამმედის მიმდევარი მამყოფეო. (მესნევი, ტომი 2, გვ. 28)

მევლანა წერს, რომ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შუამავალი გაჩენილთაგან ყველაზე მაღლა დგას და ღვთის წინაშე დიდად დაფასებულია. მას გააჩნია ყველაზე სრულყოფილი ზნეობა და ასევე ყველაზე მნიშვნელოვანი მისიაც მას დაეკისრა. სწორედ მან წარუდგინა ხალხს უკანასკნელი უნივერსალური გზავნილი. ის არის უკანასკნელი შუამავალი.

ის იყო ღვთიური გზავნილის ადრესატი, ამიტომ ყოველი სიტყვა, რასაც ის წარმოთქვამდა არის სრული ჭეშმარიტება. მისი სიტყვების დაჯარება და შესრულება გადარჩენის გზაა. მან გადაარჩინა კაცობ-

რიობა უმეცრებას, ურწმუნოებას, ძალმომ-
რეობას, ბოროტებას და უსამართლობას.
სამაგიეროდ მან დაამკვიდრა ჭეშმარიტე-
ბა, ცოდნა, სამართალი, შემწყნარებლობა
და სიკეთე.

მევლანა ასევე აღწერს, რომ შუამავლის
წინაშე მთები, ქვები და მსგავსი, ერთი შე-
ხედვით უსულო არსებებიც კი მოწმობდ-
ნენ და მის უპირატესობას ადასტურებდ-
ნენ. მიუხედავად ასეთი გამორჩეულობისა,
ადამიანთა ნაწილმა მაინც ვერ გაიგო მისი.
ზოგმა მაშნვე ირწმუნა და მისი ერთგული
მიმდევარი და მეგობარი გახდა. ზოგმა კი
განუდგა, უარყო და მტრად მოეკიდა.

ამრიგად, მევლანა ისე ცხოვრობდა, რომ
შუამავალ მუჰამმედის გზაზე დგომას და
მისდამი სიყვარულს აუცილებლობად მი-
იჩნევდა. მან ეს თავისი აზროვნებითა და
ცხოვრებით დაადასტურა. მევლანას შე-
მოქმედების ძირითადი წყარო ყურანი და
შუამავლის ცხოვრებაა.

„სანამ პირში სული მიდგას ყურანის
მონა ვარ და შუამავლის გზაზე -მტვერი“,
ამბობდა ის.

მევლანას მიხედვით სულის აღზრდა

ქადირ ოზქოსე

მევლანა ყოველთვის ცდილობდა საკუთარი ეგოსგან თავი დაეღწია და უნივერსალური მეობისთვის მიეღწია. ის ცდილობდა ეპოვა საკუთარი თავი და უფრო მეტიც, ცდილობდა საკუთარ თავს გასცდენოდა. მას სურდა მიმდინარე პიროვნული კავშირებისგან თავი დაეღწია უნივერსალური აღქმის დონეზე ასულიყო. ის ფიქრობდა რომ ამქვეყნიური სურვილები ამ გზაზე ერთგვარი დაბრკოლებები იყო.

მევლანა ადამიანში არსებულ სურვილებს მეტაფორულად რკინასა და კვესს ადარებდა. (მევლანა ჯალალედდინ რუმი, მესნევი). ის ამბობდა, რომ ნაპერწკალის წყლით ჩაქრობა შესაძლებელი იყო, მაგრამ კვესის უნარს, რომ ისევ ნაპერწკალი გაეჩინა წყალი ვერ უშველიდა და ნებისმიერ დროს შეიძლებოდა აალებულიყო. იუსუფის მსგავსი შუამავალიც კი დარდობდა სულის უბიწოებაზე და ამბობდა, რომ

ცდუნებები ყველას სიავისკენ უბიძგებდა. ის ღმერთს სთხოვდა შველას:

„და არ ვამბობ, ჩემი სული ყოვლად უბიწოა. უეჭველად, სული, გარდა იმათი, ვისაც შეიწყალებს ჩემი ღმერთი, დიახაც რომ ყველას სიავისკენ უბიძგებს. უეჭველად, ჩემი ღმერთი შემნდობია, მწყალობელია!

შემდეგ მევლანა აგრძელებს და ამბობს, რომ სანამ ადამიანი შინაგან სურვილებს, ცდუნებებს და მათი გამოვლინების რისკებს მინიმუმამდე არ დაიყვანს, გარეთ გამოსრულილი ნაპერწკლების ჩაქრობით ამ პრობლემას ვერ მოაგვარებს. ამით სიავისკენ მიდრეკილება არ დასრულდება და ნებისმიერ ცდუნებაზე იგივე შეიძლება განმეორდეს. ადამიანი, რომელიც ჯერ საკუთარ თავში არსებულ მავნე მიდრეკილებებს არ ალაგმავს, მისი მცდელობა დაგმოს გარეთ არსებული კერპები, მხოლოდ ნაპერწკლების ჩაქრობის ტოლფასია. მთავარია ნაპერწკლების წარმოშობის წყარო გავანეიტრალოთ, მაგრამ ეს არც თუ ისე იოლია. ადამიანის მიერ სიავის გამოვლინებას საზოგადოებრივი მორალი და კანონის ნორმებიც არეგულირებს. ამან შეიძლება რაღაც დონეზე შედეგი გამოიღოს და ადამიანი აკრძალულის ჩადენას მოერიდოს, მაგრამ როგორც კი მარტო დარჩება,

ან სასჯელისგან უსაფრთხოდ დაიგულებს თავს, ისევ ჩაიდენს, ამიტომ სრულყოფილი შედეგისთვის საჭიროა ცდუნებების, ცოდვის ჩადენისკენ მიდრეკილების განეიტრალება.

მევლანა ადამიანის შინაგან ბუნებას ჯოჯოხეთსაც ადარებს. ამ ჯოჯოხეთს შვიდი კარი აქვს. ამქვეყნიური კეთილდღეობისკენ მისწრაფება, ამპარტავნება, ვნება, შური და ა.შ.

მევლანა ამბობდა, რომ ადამიანის სულის წრთვნა მორიელის ნაკბენიდან ნესტრის ამოღების მსგავსია. თუ მონა ცდუნებებს არ აჰყვება, მეფე გახდება. ცდუნებები ადამიანს აიძულებს უარი თქვას ღვთისმსახურებაზე ან ზრელედ და სწრაფად შეასრულოს ისინი. ამგვარი ცდუნებისგან განკურნება ისევ ღვთისმსახურებით არის შესაძლებელი. საკუთარ ცდუნებებთან ბრძოლა ადამიანს გადარჩენისკენ წაიყვანს. ცდუნებებს აყოლილი ადამიანი უფრო და უფრო მეტს ითხოვს. შეუსრულებელი სურვილების გამო მუდმივად შფოთვას განიცდის და სხვა აღარაფერზე ფიქრობს. ამ დროს სხვა უზნეო ქმედებების საშუალებით დაიწყებს საწადელის მიღწევას. ამით ის ღვთის წყალობას უფრო და უფრო დაშორდება.

მევლანა სულიერებას მოკლებულ სხეულს გამხმარ ხესა და გამოგვალულ მიწას ადარებს. როგორც ივლისის მზე გამოაშრობს მიწას, ისე აშრობს ცდუნებებისა და ვნებისგან წამოსული ცეცხლი სხეულს.

„ეს ქვეყანა თასია, გული კი ნაკადულის მსგავსი; ეს ქვეყანა ოთახია, გული კი გასაოცარი ქალაქი“.

„თუ გინდა მეგობარი ხვალვე არ დაგშორდეს, გონივრულად და გონიერთან იმეგობრეთ“.

muslim georgia
muslim georgia foundation
muslim georgia international charity

მევლანას გულის ხმა და მუსიკა

ბაირამ ალი ჩეთინკაია

მევლანას აზროვნებაში მუსიკის არსებობა დღემდე კამათის საგანია. კლასიკური მუსიკა, განსაკუთრებით ჯუმისა და ბაირამის ნამაზების პერიოდში, ბაირამის თექბირების დროს, მევლუდის დროს და სხვა ცერემონიებზე, ხალხის ამ მიმართულებით არსებულ მოთხოვნილებას აკმაყოფილებდა.

მევლანა მუსიკის შესახებ საუბრისას იგივე დამოკიდებულება აქვს, როგორც ფილოსოფოსებს. „ეს სასიამოვნო მელოდია და ხმები ცის თაღიდან და იქ მყოფი ვარსკვლავებისგან გვაქვს აღებული. ხალხის მიერ დაკრული მუსიკა და მათი პირიდან გამოცემული ხმები ციდან მომდინარე ხმაა“. რაოდენაც ეს განმარტება ფილოსოფოსებს ეკუთვნით, მევლანაც ეთანხმება და ამ მოსაზრებას იზიარებს.

მევლანა მუსიკის შესახებ ამბობს: „სამოთხის სულიერი ზემოქმედება ყველა

უსიამოვნო ხმას ალამაზებს. ჩვენ, ყველა ადამიანი ადამის შთამომავლები ვართ. სამოთხეში ყოფნისას ეს ხმები მოსმენილი გვაქვს. ის ჩვენს სულში იყო განვრცობილი“.

სამოთხეში ყველაფერი იდეალურ დონეზეა. იქ ცუდი ხმებიც კი ყველაზე სასიამოვნო ხმებად გადაიქცევა. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანმა ვერ დაიმახსოვრა ის სილამაზე, სულს ახსოვს ის გაუსაძლისი სილამაზის ხმები, რაც იქ ისმის.

შეყვარებულთა საკვები

საბოლოოდ მევლანა ამბობს, რომ ლამაზი ხმების მოსმენა შეყვარებულთა საკვების მსგავსია და ასეთი ლამაზი და სასიამოვნო ხმების მოსმენით ისინი მონატრების, შეხვედრის ოცნებებს აგებენ.

ადამიანს აქვს შესაძლებლობა ბუნებაში არსებული ხმები გაიგონოს. არსებობს ხმები, რომლებსაც მსმენელი უხილავი სამყაროსკენ მიჰყავს. მევლანა ამბობს: „ხმები, რომლებსაც ზეცისკენ მივყავართ, ზეციდან მოსული ხმებია. თუ ხმები შენს ცდუნებებს აღვიძებს და ამძაფრებს, ეს ხმები ადამიანის დამაზიანებელი მგლის ხმად მიიღე“.

როგორც არაფის სურას 172-ე აიათშია მოთხრობილი, ღმერთმა ადამიანთა სულებს კონკრეტული კითხვით მიმართა და სულებმაც უპასუხეს „ბელაა“, (დიახ). ამ მიმართვის სულიერი სიტკბოება არასოდეს მიილევა და მუდმივად იარსებებს. შემდეგ სულები ფიზიკურ სხეულებში მოტავსების გზით დედამიწას მოევლინენ და როდესაც ლამაზ ხმას გაიგონებენ ყოველთვის მაშინდელი, ოდითგან რომ ღვთისგან გაიგონეს, იმის მონატრებას გრძნობენ. მუსიკისგან სიამოვნების მიღების საიდუმლო აქ უნდა ვეძებოთ.

სულის გამაცოცხლებელი ხმა

ლამაზი ხმა, რომელსაც უსასრულობისკენ მივყავართ, მევლანას აზრით ამქვეყნიურ წყალობათაგან ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია. ლამაზი ხმის პატრონი ადამიანის მიერ უზენაესის სიტყვის წარმოთქმა მევლანასთვის იმდენად აღმაფრთოვანებელი იყო, რომ ის ამბობდა, ეს ხმა ადამიანს სიცოცხლეს უნარჩუნებსო.

ხმა და სიტყვა, რომელიც ადამიანზე არ მოქმედებს ფუჭიაო, ამბობდა მევლანა და მიუხედავად იმისა, რომ თავად დიდი ორატორი იყო, როგორც კი შენიშნავდა, რომ

მისი სიტყვები ხალხზე ეფექტს არ ახდენდა, მაშინვე სიჩუმეს ამჯობინებდა.

ხოლო ის, რაც ადამიანისთვის დაფარულია და მხოლოდ ღმერთმა უწყის, ვერანაირი სიტყვებით ვერ აიხსნება. შეუძლებელია მისი ჩვენთვის ნაცნობ ან გასაგებ რამეზე შედარება. მის სილამაზესა და ესტეთიკას ვერავინ აღწერს. მას ვერც აღვწერთ და ვერც საკადრისად შევაქებთ. ადამიანს ათასი თვალი რომ ჰქონდეს იმ უზენაესის ნათელის დანახვას მაინც ვერ შეძლებს.

მოსმენის მოყვარული მველანა

პოეზიისა და სიტყვის ხელოვნების შექმნის გარდა მევლანას მოსმენაც უყვარდა. მან შეიცნო ყველაზე ტკბილხმოვანი სიტყვა და მის მერე ყველა სხვა ხმისა და სიტყვის მიმართ ინტერესი დაკარგა.

მევლანა ყოველი ლამაზი ხმისა და ზოგადად სილამაზის ძირითად წყაროს გრძნობდა. ისეთი ხმები არსებობს, რომ მათ გაგონებაზე უმცირესი ნაწილაკებიდან დაწყებული მთებამდე ყველაფერი კანკალს დაიწყებსო, ამბობდა ის.

ამ ყველაფერზე ფიქრი მევლანას დი-

ლამდე არ აძინებდა. მას უყვარდა ლამაზი ხმები და მუსიკა და ამას ყოველთვის გამოხატავდა.

მუსიკა- ვარდის ბაღნარში გაღებული ფანჯარა

მევლანა ამბობდა, რომ მუსიკა ვარდის ბაღნარისკენ გაღებული ფანჯარა იყო და შეყვარებული ადამიანები თავიანთ გულისმიერ სმენას ყოველთვის ამ ფანჯრებს მიაპყრობდნენ ხოლმე.

მევლანას პოეზიაში მუსიკა შეყვარებულთა სულიერი საზრდოა. ლამაზი ხმების მოსმენისას ადამიანები მონატრებისა და ისევ შეხვედრის ოცნებებს აგებენ. ადამიანის გულში არსებული ოცნება მუსიკის საშუალებით ვითარდება. მუსიკა ჩვენი ხასიათისა და ზნის მიხედვით ტოვებს ეფექტს. კეთილი და ღვთისმოსავი ადამიანები უფრო მეტად ხდებიან სიკეთისკენ მიდრეკილნი, ხოლო ამქვეყნიურ ნეტარებას აყოლილთათვის მუსიკა უფრო მეტი ცდუნებისა და სურვილების გაძიერების მომტანია.

„თუ გინდა თვალი, გონება და სმენა განიწმინდო, ბოროტების ფარდები უნდა ჩამოხიო“.